პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 63 (18305) ოთხშაბათი, 17 მარტი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

**პარტია სრული ნდობით ეკიდება პროფკავშირებს, დიდად აფასებს მათ საქმიანობას, პატივს სცემს მათ ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას. თავისი ავტორიტეტით პარტია—საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა — ხელს უწყობს პროფკავშირთა გავლენის ზრდას. პარტიული ორგანოებისა და პროფკავშირების კარგი, საქმიანი თანამშრომლობა ხელს გვიწყობს წარმატებით გადავწყვიტოთ ურთულესი პრობლემები ეკონომიკასა და სოციალურ საკითხებს ეხება საქმე თუ კულტურულ მშენებლობასა და საბჭოთა ადამიანების სულიერ განვითარებას.**

**ლ. ი. ბრეჟნევი.**

# საბჭოთა საზოგადოების გავლენიანი ძალა

## გაიხსნა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობა

**საბჭოთა** პროფკავშირების მრავალმხრივი, ნაყოფიერი საქმიანობა თვალნათლივ ადასტურებს, რამდენად მაღლდება მათი როლი და მნიშვნელობა განვითარებული სოციალიზმის პირობებში. თავის XVII ყრილობაზე პროფესიული კავშირები მოვიდნენ გამოცდილებითა და ცოდნით აღჭურვილი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკავშირებულნი, აღსავსენი მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ კვლავაც იყვნენ პარტიის ერთგული თანაშემწენი. 16 მარტს მოსკოვში გახსნილი უმაღლესი პროფკავშირული ფორუმის ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის გზები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

კრემლის ყრილობათა სასახლეში თავი მოიყარა ხუთი ათასზე მეტმა დელეგატმა — შრომის დიადი არმიის ღირსეულმა წარმომადგენლებმა.

დილის 11 საათია. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ი. პელშეს, ნ. ა. ტიხონოვს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობა გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად, დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დასასრული მე-8 გვ.



სურათზე: ყრილობის გახსნის დროს.

საქინფორმ-სამინფორმის ტელეფოტო.

# მშრომელი ადამიანებისათვის ზრუნვა, წარმოებისათვის ზრუნვა—პროფკავშირთა ყურადღების ცენტრში

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დამავალა გამოვსულიყავი საბჭოთა პროფესიული კავშირების ყრილობაზე. ეს პასუხსაგები, საპატიო დავალებაა. პროფკავშირთა ყრილობა დიდი მოვლენაა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქ წარმოდგენილი არიან მშრომელი ხალხის უფართოესი ფენები, აქ არიან იმათი წარმოგზავნილნი, ვისი შრომაც—ამ სიტყვის უაღრესად სრული, უკეთილშობილესი გაგებით — საფუძვლად უდევს ჩვენი სამშობლოს სიდიადესა და ძლიერებას. **(ტაში).**

ახლა, როცა პროფკავშირულმა მოძრაობამ, ქალაქთან ერთად მოიცვა სოფელიც, მოიცვა კოლმეურნეობები, პროფკავშირები გადაიქცნენ მშრომელთა ორგანიზაციად, რომელიც უნიკალურია როგორც რიცხვით — 130 მილიონი! — ისე თვისებრივი მახასიათებლებითაც.

იდეოლოგიური თვალსაზრისით ეს ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ მსოფლმხედველობა მუშათა კლასისა, რომელიც მუდამ პროფკავშირული მოძრაობის ბირთვს შეადგენდა, განსაზღვრავს საბჭოთა საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის იდეურ პოზიციებს. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მტკიცე, კიდევ უფრო მკვიდრი გახდა საბჭოთა ხელისუფლების, ჩვენი საერთოსახალხო სახელმწიფოს საძირკველი. სოციალური თვალსაზრისით ეს მოწმობს, რომ თანდათანობით ქრება განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გრძელდება ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოება. პროფკავშირულ მოძრაობაში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის მონაწილეობა საბჭოთა ხალხის მზარდი ერთიანობის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი პროგრესის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ, ყრილობის დელეგატებს, და ყველას, ვინც ამ ყრილობაზე აგირჩიათ, მხურვალედ, გულითადად მოგესალმოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით. **(ხანგრძლივი ტაში).** გილოცავთ ყველა დამსწრეს პროფესიული კავშირების მორიგი, XVII ყრილობის გახსნას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! პროფკავშირებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. ისინი დემოკრატიის განვითარების, კომუნისტურ მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის მძლავრი საშუალებაა. სწორედ ასე იდგა საკითხი პარტიის XXVI ყრილობაზეც. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ იმ მრავალმხრივი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებსაც აყენებს ჩვენი მებრძოლი, დინამიკური დრო, საბჭოთა პროფკავშირები ასრულებენ დიდ, და შეიძლება პირდაპირ ითქვას, — შეუცვლელ როლს. სწორედ ასეც უნდა იყოს. **(ხანგრძლივი ტაში).**

არავითარ შემთხვევაში არ მინდა დავასწრო არც საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენებას, არც მომავალ კამათს, მაგრამ მსურს გაგიზიაროთ ზოგიერთი აზრი, რომლებიც ეხება პროფკავშირულ მუშაობას, პროფკავშირთა ამოცანებს.

ყველასათვის ცნობილია ვ. ი. ლენინის სიტყვები პროფკავშირების როგორც მართვის სკოლის, მეურნეობრიობის სკოლის, კომუნიზმის სკოლის შესახებ. ძალიან ზუსტი, ტევადი, უბერებელი სიტყვებია. ამ სიტყვებით არის გამოხატული სოციალიზმის პირობებში პროფკავშირული მოძრაობის ლენინური კონცეფციის არსი. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ეს სკოლა გაიარა მშრომელთა რამდენიმე თაობამ. და თითოეულ თაობასთან ერთად პროფკავშირთა პრაქტიკაში სულ უფრო მტკიცედ ერთიანდებოდა ზრუნვა საზოგადოებრივი წარმოების ზრდისათვის და ზრუნვა თითოეული მუშაკაცის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის, მისი უფლებების დაცვისათვის, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირული საქმიანობის ამ წამყვანი მიმართულებებით უდიდესი მუშაობაა გაწეული. შექმნილია მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლების საყურადღებო გამოცდილება. მხედველობაში მაქვს მუშათა კრებები და მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, სადაც ყურად უნდა იღებდნენ ყოველი მუშაკაცის ხმას. მხედველობაში მაქვს სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ეკონომიკური ზრდის მძლავრი ბერკეტია. მხედველობაში მაქვს შემხვედრი გეგმები, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობა, მოწინავე გამოცდილების დანერგვა, შემოქმედებითი ინიციატივები და თაოსნობანი, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების გადიდება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა რაციონალური გამოყენება, რესურსების დაზოგვა, ხარისხის გაუმჯობესება.

დიდი და მრავალფეროვანია საშუალებათა არსენალი, რომელთა მეოხებით პროფკავშირებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ სოციალურ პროცესებზე, ეკონომიკის განვითარებაზე, მასების აღზრდაზე, მაგრამ ვიყენებთ კი მას საკმაოდ ეფექტიანად? როგორც ჩანს, არა. ამაზე ბევრი რამ ითქვა პროფკავშირულ კრებებზე, კონფერენციებზე, პროფკავშირთა დარგობრივ და რესპუბლიკურ ყრილობებზე. კარგი, სასარგებლო იქნებოდა, რომ ის საქმიანი, თვითკრიტიკული განწყობილება, რომელიც საკმაოდ გარკვევით გამოვლინდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს, არათუ დამკვიდრდეს, ახალი იმპულსიც მიენიჭოს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ყრილობაზე. **(ტაში).**

ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება სწრაფად, ენერგიულად გარდავქმნათ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა დღევანდელობის მოთხოვნების შესაბამისად. პროფკავშირები უფრო გაბედულად უნდა წყვეტდნენ ახალ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, უფრო ფართოდ ეყრდნობოდნენ მეცნიერების მონაცემებს, განუწყვეტლივ უმაღლებდნენ კვალიფიკაციას თავიანთ აქტივს. კომპეტენტურობა, ახლის მახვილი გრძნობა, მასებთან უმჭიდროესი კავშირი, ადამიანებისადმი ყურადღება, ადამიანის სულის ცოდნა, — აი რა უნდა ახასიათებდეს ჩვენი დროის პროფკავშირულ მუშაკს.

ჩვენ არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ განვითარების თითოეული ეტაპი თავის ამოცანებს სახავს, ავსებს მათ ახალი კონკრეტული შინაარსით, მოითხოვს ახალ მიდგომას მათი გადაწყვეტისადმი. აილეთ ეკონომიკა. შეიცვალა მისი მასშტაბი. შეიცვალა შრომის ხასიათი. შეიცვალა ეკონომიკური მშენებლობის საკვანძო მიმართულებანი. გადავიყვანოთ ეკონომიკა ინტენსიური ზრდის რელსებზე, გავხადოთ იგი ნამდვილად ეკონომიური — ასეთია ახლა როგორც სამეურნეო ორგანოების, სამეურნეო აპარატის, ისე, რა თქმა უნდა, პროფკავშირების საერთო მიზანი.

ჩავწვდეთ თითოეულ მშრომელ ადამიანს, მისთვის ახლობელი და გასაგები გავხადოთ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნები, დამაჯერებლად ვუჩვენოთ, რომ სწორედ ეს პოლიტიკა შეესაბამება მის საარსებო ინტერესებს და ამიტომ თითოეულის ვალია თავისი ინიციატივით, შემოქმედებითი ძიებით შეუწყოს ხელი მის სრულ წარმატებას — აი ეს არის, ამხანაგებო, მე ვიტყოდი, პროფკავშირების ყველაზე აქტუალური ამოცანა მეთერთმეტე ხუთწლედში. **(ხანგრძლივი ტაში).**

როგორ მოვაგვაროთ უკეთ, უფრო ეფექტიანად მუშაობა ყოველ კონკრეტულ უბანზე? როგორ გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები — და ისევ, არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად, მოცემული სამუშაო ადგილის გათვალისწინებით? რა და როგორ უნდა გავაკეთოთ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მატერიალური და შრომითი რესურსების უმკაცრესად დაზოგვისათვის მოცემულ წარმოებაში, მოცემულ დარგში? ამ კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს არა მარტო ადმინისტრაციამ, არამედ პროფკავშირებმაც. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყოველი პროფესიული კავშირი, ყოველი პროფკავშირული ორგანიზაცია პარტიულ დებულებებს ხორცს ასხამდეს პრაქტიკული საქმეებით და მაქსიმალური კონკრეტულობითა და გერგილიანობით მოქმედებდეს. ზოზინის დრო არა გვაქვს, უნდა ვიმუშაოთ, საქმე უნდა ვაკეთოთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

უკვე დავიწყეთ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელი. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს საკუთარ, ღვიძლ საქმედ მიიჩნევენ, წინ მიიწევენ და მტკიცედ სწამთ თავიანთი ძალა, კარგად ესმით გადასაწყვეტი ამოცანების როგორც სირთულე, ისე სიდიადეც, ეს განსაზღვრავს ქვეყნის ზუსტ შრომითს რიტმს, უზრუნველყოფს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილსინდისიერ მუშაობას.

დღეს ყველა საფუძველი გვაქვს დიდი მადლობა გადავუხადოთ საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს, რომლებიც მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მუშაობენ დამკვრელურად, ხალისით. **(ტაში).** ამ ტრიბუნიდან, ამხანაგებო, მინდა მადლობა გადავუხადო პროფკავშირებსაც. მათ ყველაზე პირდაპირი; ყველაზე უშუალო დამოკიდებულება აქვთ ჩვენს წარმატებებთან და მიღწევებთან. **(ტაში).**

ჩვენში ათასობით მოწინავე ადამიანი და მოწინავე საწარმოა. ხატოვნად რომ ვთქვათ, მათ დაზვერვა ბრძოლით ჩაატარეს, ხელთ იგდეს დიდმნიშვნელოვანი პლაცდარმები, მაგრამ მარტო მზვერავები, როგორც ვიცით, გამარჯვებას ვერ აღწევენ. მაშასადამე, ახლა ჩვენ უნდა დავრაზმოთ მთელი ფრონტი, დავიწყოთ საერთო იერიში. და პროფკავშირების ადგილი მოიერიშე შრომითი არმიის პირველ რიგებშია. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! პროფკავშირულ ყრილობებზე მუდამ აღიძვრებოდა ხოლმე საარსებო, საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც ყველა მშრომელის, მთელი ხალხის ინტერესებს ეხება. დღეს ერთ-ერთი ასეთი საკითხია სასურსათო საკითხი. პარტიამ და მთავრობამ კარგად იციან, რა სიძნელეები გვაქვს და ყოველ ღონეს ხმარობენ მათი დაძლევისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვაპირებთ განვიხილოთ სასურსათო პროგრამა, რომელშიც განისაზღვრება ამ მნიშვნელოვანი პრობლემის კარდინალური გადაჭრის გზები. მაგრამ სოფლის მეურნეობაშიც და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის დარგებშიც ხომ ბევრი გადაუდებელი საარსებო საქმეა, რომლებსაც დაუყოვნებლივ უნდა მივხედოთ, რათა გავაუმჯობესოთ სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

აქ პროფკავშირების ენერგიის გამოყენების ვრცელი ასპარეზია. მათი უშუალო საქმეა საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრონ პროდუქციის შენახვის გაუმჯობესებასა და დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მწვავედ უნდა დააყენონ და გადაწყვიტონ პროდუქციის გადამუშავების ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენების საკითხები. პროფკავშირების ყურადღება არ უნდა მოაკლდეს არც საწარმოთა დამხმარე მეურნეობებს, არც პირად დამხმარე მეურნეობებს, პროფკავშირები მოწოდებული არიან გამონახონ კონკრეტული გზები, რათა გავრცელდეს ყველა იმ ორგანიზაციისა და მუშაკის ინიციატივა და აქტიურობა, რომლებიც დაკავშირებული არიან სასურსათო საქმესთან. ამხანაგებო, გთხოვთ იფიქროთ ამაზე.

მეორე საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, სულ სხვა სფეროს განეკუთვნება. ლაპარაკია შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმებზე. ისინი ზრდიან წარმოების ეფექტიანობას და ამავე დროს სავსებით შეესაბამებიან პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას თანამედროვე ეტაპზე. მიმდინარე ხუთწლეულში ეს ფორმები, როგორც ცნობილია, რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავრცელდეს.

ერთიანი განწესით მომუშავე კომპლექსურ ბრიგადებში მნიშვნელოვნად იზოგება დრო, შრომითი და მატერიალური რესურსები. იქ უფრო მტკიცეა დისციპლინა, მეტია ხელფასი, უფრო მალე ოსტატდებიან ახალგაზრდა მუშები. ბუნებრივია, იქ მეტია შრომის ნაყოფიერებაც. მოვიყვან მხოლოდ ერთ ფაქტს. მეათე ხუთწლედის დამლევს საიჯარო ბრიგადებში მშენებელთა შრომის ნაყოფიერება მესამედით მეტი იყო, ვიდრე საშუალოდ დარგში. სხვაობა, როგორც ხედავთ, მნიშვნელოვანია.

კარგად ორგანიზებული, ეფექტიანად, მე ვიტყოდი, ჭკვიანურად მომუშავე ბრიგადა მუშათა მმართველობითი ჩვევების განვითარების ნამდვილი სკოლა, ექსპერიმენტული ლაბორატორიაა ყოველი შემოქმედებითი ინიციატივისათვის. ასეთი ბრიგადის წევრები საქმეში, ყოველდღიურ ერთობლივ შრომაში ეუფლებიან ჩვენს დროში ესოდენ საჭირო ეკონომიკურ და, კაცმა რომ თქვას, პოლიტიკურ ცოდნასაც. ასეთ ბრიგადაში ნამდვილად ყალიბდება თავისი ქარხნის ბატონ-პატრონის, თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობა. **(ტაში).**

თითქოსდა, ასეთი ბრიგადების უპირატესობა ყველასათვის ცხადია. და მაინც ბრიგადული იჯარა ინერგება ნელა და ზოგჯერ არათანამიმდევრულადაც. არის ბრიგადების დაშლის შემთხვევები. რატომ ხდება ეს?

ბრიგადის შექმნისას მოწინავე მუშები გამოთქვამენ სურვილს და მზადყოფნას იკისრონ პასუხისმგებლობა, რომ დროულად და ხარისხიანად შეასრულონ შრომითი დავალება მთელი მისი მოცულობით, კომპლექსურად. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელი როდი იჩენს მისწრაფებას უზრუნველყოს ბრიგადა მუშაობისათვის საჭირო პირობებით, იკისროს, ასე ვთქვათ, თავისი წილი პასუხისმგებლობა. აქ თავს იჩენს წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებანიც, აზროვნების კონსერვატიზმიც. ყოველივე ეს ძირს უთხრის თვით ბრიგადული მეთოდის არსს— მის სამეურნეოანგარიშიან საფუძველს.

მაშასადამე, სამეურნეოანგარიშიან ბრიგადას „მწვანე ქუჩა“ რომ მივცეთ, საჭიროა განვაგრძოთ სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, გავაუმჯობესოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ვებრძოლოთ ფორმალიზმს შრომის დაგეგმვასა და აღრიცხვაში. დარწმუნებული ვარ, რომ პროფკავშირები, — თითოეული თავის დარგში, თავის უბანზე, — აქტიურად, ბეჯითად ჩაებმებიან შრომის ორგანიზაციის ამ პროგრესული ფორმის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. **(ტაში).**

სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესებაში პროფკავშირთა მონაწილეობის საკითხი, ბუნებრივია, სცილდება ბრიგადების საკითხის ფარგლებს. როგორ შევუხამოთ უკეთ მუშის პირადი ინტერესები მთლიანად საწარმოსა და საზოგადოების ინტერესებს? როგორ შევამციროთ მინიმუმამდე ხელის შრომა, გავათავისუფლოთ „ზედმეტი“ ადამიანები, რომლებიც ჩვენში სულაც არ არიან ზედმეტი და მეტად საჭირონი არიან სხვა უბნებზე? როგორ დავამყაროთ ყველაზე პირდაპირი, ხილული კავშირი შრომასა და მის ანაზღაურებას შორის? ამ და ანალოგიურ კითხვებზე პასუხი მარტო სამეცნიერო ცენტრებმა, მეცნიერებმა როდი უნდა მოგვცენ. ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ და კიდევაც უნდა შეიტანონ საწარმოო კოლექტივებმა, მუშათა კრებებმა.

გაგრძელება მე-2 გვ.

# მშრომელი ადამიანებისათვის ზრუნვა, წარმოებისათვის ზრუნვა—პროფკავშირთა ყურადღების ცენტრში

(დასასრული)

უნდა მოვუსმინოთ ცხოვრებისეული გამოცდილებით გაბრძნილ, დიდი პრაქტიკული გამჭრიახობით დაჯილდოებულ ადამიანებს, განვაზოგადოთ მათი აზრი. და ამაში სწორედ პროფკავშირები უნდა დაგვეხმარონ. **(ტაში).**

ამხანაგებო! ეკონომიკის განვითარებისათვის ზრუნვა განუყრელად არის დაკავშირებული მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვასთან. კეთილდღეობის დონის ამაღლება შეუძლებელია, თუ სათანადოდ არ განვითარდა წარმოება. ამავე დროს თვით წარმოების განვითარებაც მით უფრო წარმატებით წარიმართება, რაც უფრო უკეთესი იქნება შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. ეს სოციალისტური ცხოვრების წესის აქსიომაა. და რაც უფრო მოწიფული ხდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო მეტი ყურადღების მიქცევა შეგვიძლია და კიდევაც უნდა მივაქციოთ მშრომელთა ყოველდღიურ საჭიროებებს, — ბინას, კვებას, მომსახურების სფეროს, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებას, — ყოველივეს, რაც განსაზღვრავს ადამიანის როგორც კეთილდღეობას, ისე გუნება-განწყობილებას.

შეიძლება წამოიჭრას კითხვა: ხომ არ ამოიწურა პროფკავშირთა მიერ მშრომელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის ამოცანა მშრომელთა სახელმწიფოში, რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას? არა, არ ამოწურულა. რა თქმა უნდა, ჩვენი პროფკავშირები იცავენ მშრომელს არა სახელმწიფოსაგან, არა მეპატრონისაგან, როგორც ეს ხდება კაპიტალის ქვეყნებში. ისინი იცავენ მას ზოგიერთი პირისა და ორგანოს მიერ საბჭოთა კანონების დარღვევებისაგან.

პროფკავშირები ვერ უნდა ურიგდებოდნენ სამართლებრივი დადგენილებებისაგან, შრომის კანონმდებლობისაგან რაიმე გადახვევას. მაგრამ ეს არ კმარა. პროფკავშირები თავიანთი საქმიანობით უნდა ქმნიდნენ ისეთ ვითარებას, როცა გამორიცხული იქნება თვით მუშაკაცის უფლებათა დარღვევის შესაძლებლობა, როცა წარმოუდგენელი გახდება ყოყოჩობისა და გულგრილობის ყოველი გამოვლინება, რომლებითაც ჯერ კიდევ სცოდავენ ცალკეული ხელმძღვანელები.

პროფკავშირთა ცეცხლი მუდამ უნდა იყოს მიმართული ბიუროკრატიზმის წინააღმდეგაც. იმედი მაქვს, არ გამინაწყენდებით, ამხანაგებო, თუ გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ამ სენისაგან არც ზოგიერთი პროფკავშირული მუშაკია დაზღვეული.

გასაგებია, რომ პროფკავშირებს — ორგანიზაციას, რომელიც რთულ და მრავალფეროვან ამოცანებს უნდა წყვეტდეს, აუცილებლად სჭირდება შესაბამისი აპარატი. ამასთან, ცხადია, რომ ამ აპარატის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა იმდენად რიცხვზე, რამდენადაც მის მოფიქრებულ სტრუქტურაზე, სიმწყობრეზე, მისი მუშაობის ზუსტ ორგანიზაციაზე. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ აქ უკვე ყველაფერი რიგზეა? ალბათ, არ შეგვიძლია.

მთავარი კი ის არის, რომ პროფკავშირული აპარატის მუშაკები უფრო მეტად ტრიალებდნენ ადამიანთა შუაგულში და ნაკლებად — ქაღალდებში. ისინი უფრო მტკიცედ უნდა ეყრდნობოდნენ პროფკავშირულ აქტივს, პროფკავშირის ინიციატივიან, ენერგიულ რიგით წევრებს. **(ტაში).** სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქაც, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, საუკეთესო წამალია სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება. **(ხანგრძლივი ტაში).**

პროფკავშირთა თვალთახედვის არეში უნდა იყოს როგორც მთლიანად შრომითი კოლექტივები, ისე თითოეული ადამიანი თავისი ინდივიდუალური თვისებებითა და თავისებურებებითურთ. ისინი დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ ისეთი ატმოსფეროს, ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური, ზნეობრივი კლიმატის შექმნისათვის წარმოებაში, რომელთა დროს ყველაზე სრულად გამოვლინდება საბჭოთა ხასიათის საუკეთესო ნიშნები, საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები. ეს, ალბათ, უპრიანია ითქვას დღეს ყრილობაზე.

ყოველნაირად უჭერენ რა მხარს ყოველივე მოწინავეს, ნერგავენ პატივისცემას ყველა იმათდამი, ვინც პატიოსნად შრომობს, პროფკავშირები, ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, ამავე დროს შეურიგებლად უნდა ეკიდებოდნენ ლოთებს, მოხალტურეებს, წუნის მკეთებლებს, სახალხო დოვლათის დამტაცებლებს. ასეთი ადამიანები, თუმცა ისინი ცოტანი არიან, არცხვენენ მუშა კაცის კეთილ სახელს. და ისინი უნდა დავსაჯოთ მორალურადაც და მატერიალურადაც. როგორც ჩანს, ამაზე უნდა ვიფიქროთ ჩვენი შრომის კანონმდებლობის შემდგომი დამუშავება-სრულყოფის დროს. **(ტაში).**

ყრილობის დელეგატებს მინდა გავუზიარო კიდევ ერთი მოსაზრება. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში და, როგორც ვიცი, საკავშირო პროფსაბჭოშიც მოდის ბევრი წერილი საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში, ჯანმრთელობის დაცვაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. აშკარად მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ მუშაობის ეს უბნები უფრო მკაცრ კონტროლს დავუქვემდებაროთ.

შეიძლება, რა თქმა უნდა, თქვან — ჩვენში არის სახალხო კონტროლი, არის საზოგადოებრივი კონტროლის კომისიები და ჯგუფები. დიახ, ეს ასეა. მაგრამ, მოდით, ვკითხოთ საკუთარ თავს: ყოველთვის კარგად, ეფექტიანად ახორციელებენ კი კონტროლს ჩვენი კონტროლიორები? ალბათ, ყოველთვის არა. თორემ არ იქნებოდა წერილები, რომლებიც მე ვახსენე.

მაშასადამე, კონტროლი, მეტადრე უშუალოდ ადამიანთა ყოველდღიურ საჭიროებებთან დაკავშირებულ სფეროებში, უნდა გავხადოთ უფრო ქმედითი, არაფორმალური, პირუთვნელი. პროფკავშირებისათვის ეს არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის და ღრმად დემოკრატიული შინაარსის ამოცანა.

ყველა საკითხში, რომლებიც ადამიანის საარსებო ინტერესებს ეხება, პროფკავშირული კომიტეტები უფრო აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან. თავის მხრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოებიც, მათი აღმასკომებიც ვერ იმუშავებენ ეფექტიანად, თუ პროფკავშირებთან ერთად არ მოქმედებენ. მათი თანამშრომლობა უნდა განვამტკიცოთ ყველა დონეზე, კერძოდ, უმაღლეს დონეზეც. **(ტაში).**

ამხანაგებო! პროფკავშირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გაფართოება, მათი ავტორიტეტის ამაღლება, მასებთან მათი კავშირურთიერთობის განმტკიცება სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

პარტია ყოველთვის იღვწოდა და იღვწის იმისათვის, რომ ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და, რა თქმა უნდა, პროფკავშირებიც, რაც შეიძლება უკეთ ასრულებდეს თავის ფუნქციებს, რაც შეიძლება სრულად ასახავდეს, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, იმას, თუ მასა რით ცხოვრობს, რა სტკივა მას. ამით ხომ პარტიასა და სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევათ უფრო სრულად გამოხატონ თავიანთ პოლიტიკაში ხალხის, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის ნება და ინტერესები.

პარტია სრული ნდობით ეკიდება პროფკავშირებს, დიდად აფასებს მათს საქმიანობას, პატივს სცემს მათს ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას. თავისი ავტორიტეტით პარტია — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა — ხელს უწყობს პროფკავშირთა გავლენის ზრდას. პარტიული ორგანოებისა და პროფკავშირების კარგი, საქმიანი თანამშრომლობა ხელს გვიწყობს წარმატებით გადავწყვიტოთ ურთულესი პრობლემები ეკონომიკასა და სოციალურ საკითხებს ეხება საქმე თუ კულტურულ მშენებლობასა და საბჭოთა ადამიანების სულიერ განვითარებას.

სოციალიზმის მტრები — ბურჟუაზიის იდეოლოგები, რეფორმისტები, რევიზიონისტები — დიდი ხანია იმედს ამყარებენ, რომ პროფესიული კავშირები მოსწყდება მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, გაძლიერებით გვახვევენ თავს პროფკავშირთა „ნეიტრალობის" თეორიას. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა იმალება ცდები გადაიყვანონ პროფკავშირები ბურჟუაზიული პოლიტიკის გზაზე, მუშათა კლასის ინტერესების ღალატის გზაზე.

პარტია, სახელმწიფო, ჩვენი ქვეყნის პროფკავშირები, რომლებიც თავიანთ როლს ასრულებენ, ერთსულოვნად, შეთანხმებულად მუშაობენ. ეს შეთანხმებულობა, ეს ერთიანობაა კომუნიზმის საქმის წარმატებათა საწინდარი. და ამ ერთიანობას ვერავინ ვერ შეარყევს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი დიდად აფასებენ საბჭოთა პროფკავშირების საერთაშორისო საქმიანობას. მშრომელთა ინტერესების დასაცავად, მშვიდობის განსამტკიცებლად გამიზნული ეს საქმიანობა ჩვენი საზღვარგარეთელი კლასობრივი ძმების დამსახურებულ აღიარებას პოულობს. ამის ერთ-ერთი დასტურია ის, რომ თქვენს ყრილობას ბევრი საზღვარგარეთელი სტუმარი ესწრება. ნება მიბოძეთ გულითადად მივესალმო მათ და ვუსურვო წარმატებები დიდსა და მრავალი მშრომელი ადამიანისათვის ესოდენ მნიშვნელოვან მუშაობაში! **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს დროში განსაკუთრებით საჭიროა ყველა ქვეყნის მშრომელთა, მათი პროფესიული კავშირების ერთიანობა. საერთო ინტერესები ბევრია, ძალზე ბევრი. უწინარეს ყოვლისა ეს არის დაინტერესება ომის საფრთხის ლიკვიდაციით, გამალებული შეიარაღების შეწყვეტით, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებითა და განმტკიცებით. ეს თვალნათლივ ცხადყო პროფკავშირთა X მსოფლიო კონგრესმა. მან დაადასტურა მზარდი მისწრაფება ერთიანობისადმი, სოლიდარობისადმი კლასობრივ, ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე, ძალების გაერთიანებისადმი ომის საშიშროების წინააღმდეგ, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ახლა ვილაპარაკოთ იმაზე, როგორია საზოგადოდ საერთაშორისო მდგომარეობა. იმის თქმა, რომ იგი რთული და მწვავეა, ალბათ, საკმარისი არ იქნება.

იგი შეშფოთებას იწვევს საერთაშორისო ურთიერთობის მთელი შემდგომი განვითარების გამო.

შეხედეთ, მაგალითად, რა მოხდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მადრიდის შეხვედრაზე.

**უშიშროების და თანამშრომლობის** — ასეთი მანდატი მიანიჭეს ამ კონფერენციას ხალხებმა. მაგრამ ამის ნაცვლად ამერიკის შეერთებული შტატებისა და (აშკარად ვაშინგტონის ძალდატანებით) ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობათა დიდი თანამდებობის წარმომადგენლები მადრიდში სულ სხვა განზრახვით ჩავიდნენ: მაქსიმალურად მოეწამლათ საერთაშორისო ატმოსფერო. საბაბად პოლონეთის საშინაო ამბები აირჩიეს. ნატოს ბლოკის წარმომადგენლებმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმსა და მთავრობას და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობას დაუწყეს სწავლება, თუ როგორ უნდა გადაწყვიტონ მათ თავიანთი ქვეყნის საშინაო პრობლემები. საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიც ვერ ასცდნენ ცილისწამებას. იმ მთავრობათა წარმომადგენლები, რომლებიც ყოველნაირად მეურვეობენ მსოფლიოში არსებულ ყველაზე პირსისხლიან და მხეცურ რეჟიმებს, ანგარიშს რომ უსწორებენ პროფკავშირთა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციათა მოღვაწეებს თავიანთ ქვეყნებში, უსირცხვილოდ წარმოთქვამდნენ სიტყვებს „ადამიანის უფლებათა დაცვის" შესახებ.

ვიმეორებ: პოლონეთის ამბები მხოლოდ საბაბი იყო. პოლონეთში სოციალიზმს ვერავინ დაამხობს. **(ხანგრძლივი ტაში).** ეს, როგორც ჩანს, პოლონელი კონტრრევოლუციონერების უცხოელ სულისჩამდგმელებსაც ესმით. მადრიდში მათი ნამდვილი მიზანი იყო, კიდევ უფრო გაემძაფრებინათ საერთო ატმოსფერო და ამით გაეადვილებინათ დასავლეთ ევროპის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ავბედითი გეგმების რეალიზაცია. დასავლეთი ევროპა სურთ გადააქციონ ახალი ამერიკული რაკეტების სასტარტო მოედნად. გადააქციონ მეხამრიდად, რომელიც საპასუხო დარტყმას მიიღებდა კონფლიქტის შემთხვევაში. ამასთან ერთად სურთ კიდევ უფრო შეუშალონ ხელი დასავლეთ ევროპისა და სოციალისტური ქვეყნების ნორმალური ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებას. ეს კავშირურთიერთობა ხომ აშკარად არ აძლევს ხელს ვაშინგტონს, რომლისთვისაც დასავლეთ ევროპა ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური მეტოქეა.

ამგვარმა მოქმედებამ სერიოზულად უნდა ჩაგვაფიქროს ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის ბედზე.

მადრიდი ხომ ბოლო დროის მხოლოდ ერთი მაგალითთაგანია. ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობა ახლა მკაფიოდ მონიშნულ გზაჯვარედინს მიადგა.

ერთი მხრივ, არის მშვიდობის განმტკიცებისა და ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების გზა, თითოეული მათგანის დამოუკიდებლობის, უფლებებისა და ინტერესების განუხრელი პატივისცემის საფუძველზე, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და საყოველთაო უშიშროებისა და ურთიერთნდობის განმტკიცებისათვის გამიზნული ერთობლივი მეცადინეობის საფუძველზე თანამშრომლობის გზა. ეს გზა მკაფიოდ არის დასახული ჰელსინკის თათბირის გადაწყვეტილებებშიც, და განვლილი ათწლეულის ბევრ სხვა სახელმწიფოთაშორის დოკუმენტშიც. იგი დადასტურებულია ხალხების, მეტადრე ევროპის ხალხების მიერ ამ ათწლეულში შეძენილი პრაქტიკული გამოცდილებითაც.

მეორე მხრივ, არის გზა, რომლისკენაც გაძლიერებით უბიძგებენ კაცობრიობას „ცივი ომისა" და ნამდვილი ომის ზღვარზე საშიში ბალანსირების ახლად მოვლენილი ქომაგები.

მათ სურთ უკუაგდონ სახელმწიფოთა ურთიერთობის საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ეთიკური ნორმები, გააბათილონ მათი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ისინი ცდილობენ გადაასხვაფერონ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, თანაც ყველა კონტინენტზე პლანეტის ვრცელ რეგიონებს თავიანთი „საარსებო ინტერესების" ზონებად აცხადებენ. ისინი ითვისებენ „უფლებას" ზოგიერთებს მბრძანებლობდნენ, ზოგიერთებს ასამართლებდნენ და „სჯიდნენ". აშკარად, მოურიდებლად აცხადებენ და ცდილობენ განახორციელონ არასასურველი მთავრობებისა და სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური „დესტაბილიზაციის" გეგმები. არნახული ცინიზმით ტკბებიან სიძნელეებით, რომლებსაც ესა თუ ის ხალხი განიცდის. ცდილობენ ნორმალური ურთიერთობა და საერთაშორისო ვაჭრობა შეცვალონ „სანქციებით" და ბლოკადით, კონტაქტები და მოლაპარაკება — შეიარაღებული ძალის გამოყენების მუდმივი მუქარით, ამასთან, ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარითაც კი.

პირდაპირ საოცარია ყოველივე ეს და უნებლიეთ ისმის კითხვა: რა უფრო მეტია ასეთ პოლიტიკაში — ქარაფშუტობა, საერთაშორისო საქმეებში გამოცდილების ნაკლებობა თუ უპასუხისმგებლო, პირდაპირ ვთქვათ — ავანტიურისტული მიდგომა უსერიოზულესი პრობლემებისადმი, კაცობრიობის ბედ-იღბალს რომ ეხება? ჩვენში კი არა, ამერიკის შეერთებული შტატების სოლიდური ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე ეწოდა ამგვარ პოლიტიკას „პოლიტიკური კატასტროფის კურსი". ამ განსაზღვრას ვერ შეედავები.

აქვე მოგახსენებთ ბლოკადებსა და „სანქციებზეც". საბჭოთა კავშირი დიდი ქვეყანაა, მძლავრი ეკონომიკითა და მდიდარი რესურსებით. ხოლო მთლიანად სოციალისტური თანამეგობრობა კიდევ უფრო დიდია. ასე რომ, როგორმე გავძლებდით, ამაში ნურავის შეეპარება ეჭვი. **(ხანგრძლივი ტაში).** იმ ქვეყნებს შორის კი, რომლებსაც ვაშინგტონი მოკავშირეებს უწოდებს, ბევრი გაცილებით მეტად არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე მთელ თავის განვითარებაში. ასე რომ, არავინ იცის, ვის ინტერესებს უფრო მეტად ლახავს საერთაშორისო ვაჭრობისა და ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის წინააღმდეგ კოვბოური გამოხდომების პოლიტიკა.

ობიექტურად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ატმოსფეროს შემდგომი გამწვავების, გამალებული შეიარაღების გაძლიერების, სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის დარღვევის კურსი კარგს არაფერს უქადის არც ერთ ხალხს. მათ შორის, ცხადია, ამერიკელ ხალხსაც. უბედურებას კი ბევრს მოუტანს კაცობრიობას. ამიტომ მტკიცედ ვართ დარწმუნებული: ასეთი კურსი ვერ იპოვის ხალხების მხარდაჭერას და მას არა აქვს მომავალი. და რაც უფრო მალე მიხვდებიან ამას მისი ინიციატორები, მით უკეთესი იქნება ყველასთვის. **(ტაში).**

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ ურყევად და განუხრელად ვახორციელებთ მტკიცე მშვიდობისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების და პოლიტიკური სისტემის მიუხედავად ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კურსს. და, რა თქმა უნდა, ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ მადრიდის შეხვედრის მონაწილეები, როცა იგი მუშაობას განაახლებს, ბოლოს და ბოლოს შეუდგნენ იმ საქმეს, რისთვისაც მოეწყო ეს შეხვედრა, — განიხილონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხები. და რომ გზა გაეხსნას ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხთა კონფერენციის მოწვევას, რაც ასე ძალიან სჭირდებათ ჩვენი კონტინენტის ხალხებს.

ამხანაგებო! ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ნატოს ბლოკის მილიტარისტული კურსი და აგრესიული პოლიტიკა გვაიძულებს განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა სათანადო დონეზე ვიქონიოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ეს დღევანდელი სამყაროს მკაცრი აუცილებლობაა, და იგი, ცხადია, მოითხოვს დიდ სახსრებს ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის გეგმების საზიანოდ. მაგრამ, როგორც არა ერთხელ მითქვამს, ჩვენ არ ვხარჯავთ და არც დავხარჯავთ ამ მიზნებისათვის არც ერთ ზედმეტ მანეთს გარდა იმისა, რაც აბსოლუტურად აუცილებელია ჩვენი ხალხის, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროების უზრუნველსაყოფად. **(ტაში).** და მომავალი გვესახება არა როგორც იარაღის უსაზღვრო დახვავება, არამედ როგორც სამხედრო კონფრონტაციის დონის ურთიერთშემცირების შესახებ მეორე მხარესთან გონივრულ მორიგებათა მიღწევა.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბირთვული იარაღის შემცირების პრობლემა ევროპაში. ახლა, შეიძლება ითქვას, ეს არის მსოფლიო რაკეტულ-ბირთვული ომის მზარდი საფრთხის თავიდან აცილების საკვანძო საკითხი.

თქვენთვის ცნობილია, ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის კონკრეტული და შორს გამიზნული წინადადებანი ამ საკითხზე: ევროპაში არსებული და ევროპისათვის ნავარაუდევი ორივე მხარის ბირთვული არსენალების ერთისამად შემცირებიდან კონტინენტზე საშუალო სიშორისა და ტაქტიკური ბირთვული საშუალებების სრულ მოსპობამდე. აგრეთვე ცნობილია ისიც, რომ ამერიკის მხარე ჯერაც თავს არიდებს ამ საკითხთა სერიოზულ განხილვას და მით უფრო გადაწყვეტას, ამასთან ინილბება აბსურდული მოთხოვნით ცალმხრივად განიარაღდეს საბჭოთა კავშირი, რასაც თითქოს დაცინვით, ვაშინგტონში „ნულოვან ვარიანტს" უწოდებენ.

მაგრამ ჩვენ არ ვკარგავთ მხარეების თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების საწყისებზე გონივრული მორიგების მიღწევის იმედს. უფრო მეტიც — ყველანაირად ვუწყობთ ხელს ამას სიტყვითაც და საქმითაც. ახლა, ძვირფასო ამხანაგებო, შემიძლია გაცნობოთ, რომ, ცდილობს რა შეამსუბუქოს ევროპაში ორივე მხარის ბირთვულ საშუალებათა დიდი შემცირების თაობაზე სამართლიანი შეთანხმების მიღწევა და სურს აჩვენოს კეთილი მაგალითი, **საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება — ცალმხრივი წესით შემოიღოს სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების განლაგების მორატორიუმი. აქ უკვე განლაგებულ ასეთ შეიარაღებას ვყინავთ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით, ვაჩერებთ ძველი, სს-4 და სს-5 სახელწოდებით ცნობილი, რაკეტების უფრო ახალი სს-20 რაკეტებით შეცვლას.**

ეს მორატორიუმი იმოქმედებს ან იქამდე, სანამ შეერთებულ შტატებთან არ მივაღწევთ ევროპისათვის განკუთვნილ საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა შემცირების შესახებ შეთანხმებას თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების საფუძველზე, ანდა იმ დრომდე, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები, უგულებელყოფენ რა ხალხთა უშიშროებას, მაინც დაიწყებენ ევროპაში „პერშინგ-2" და ფრთოსანი რაკეტების განლაგების პრაქტიკულ მომზადებას.

შემდეგ. ჩვენ უკვე განვაცხადეთ წინათ, რომ, თუ მიღწეულ იქნება ორივე მხარეს შორის შეთანხმებული მორატორიუმი, მზად ვიქნებოდით კეთილი ნების გამოვლინების წესით ცალმხრივ შეგვემცირებინა საკუთარი ბირთვული საშუალებების რიცხვი ევროპაში მომავალი შეთანხმების ხარჯზე. ახლა მივიღეთ გადაწყვეტილება, გადავდგათ ახალი ნაბიჯი, რომელიც მთელ მსოფლიოს დაანახვებს ჩვენს მისწრაფებას მშვიდობისადმი და ორივე მხარისათვის მისაღები შეთანხმების შესაძლებლობის რწმენას. **საბჭოთა კავშირი აპირებს უკვე წელს, თუ კვლავ არ გამწვავდა საერთაშორისო ვითარება, საკუთარი ინიციატივით გარკვეული რაოდენობით შეამციროს საშუალო სიშორის რაკეტები.**

ამ გადაწყვეტილებებს რომ ვაცხადებთ, დარწმუნებული ვართ, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები შეაფასებენ საბჭოთა კავშირის მიერ გამოვლენილ მშვიდობისმოყვარეობასა და კეთილ ნებას. **(ხანგრძლივი ტაში).** ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ მოლაპარაკების მონაწილე ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც შეძლებენ უპასუხონ ამას კეთილი ნების სულისკვეთების კონსტრუქციული ღონისძიებებით.

ამავე დროს ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია სრულიად გარკვევით განვაცხადოთ შემდეგი. თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების მთავრობები უგულებელყოფენ მშვიდობისადმი ხალხთა მისწრაფებას და მაინც განახორციელებენ ევროპაში ასობით იმ ახალი ამერიკული რაკეტის განლაგების გეგმას, რომლებსაც შეუძლიათ დააზიანონ ობიექტები სსრ კავშირის ტერიტორიაზე, მსოფლიოში სხვაგვარი სტრატეგიული სიტუაცია შეიქმნება. რეალური დამატებითი საფრთხე შეექმნება ჩვენს ქვეყანასა და მის მოკავშირეებს შეერთებული შტატების მხრიდან. **ეს გვაიძულებს განვახორციელოთ ისეთი საპასუხო ღონისძიებანი, რომლებიც ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააყენებს მეორე მხარეს, მათ შორის უშუალოდ შეერთებულ შტატებსაც, მის ტერიტორიასაც. ეს არავის არ უნდა დაავიწყდეს (ტაში).**

ეს გარემოება კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მშვიდობის ბედისათვის, მსოფლიო ბირთვული ხანძრის საფრთხის შემცირებისათვის **სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მორიგების საკითხს.** როგორც ცნობილია, ამის შესახებ 1979 წელს დადებული ხელშეკრულების ამოქმედებაზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა. ვაშინგტონს აგრეთვე დღემდე არ სურს აწარმოოს შემდგომი მოლაპარაკება ამ პრობლემაზე. საკითხი კი სულ უფრო მწვავე და გადაუდებელი ხდება.

ჯერ ერთი, ევროპაში ახალი რაკეტების განლაგების ამერიკული გეგმების განხორციელება დაარღვევს ორივე მხარის სტრატეგიული საშუალებების დღეისათვის მიღწეულ ბალანსს და ძნელად წარმოსადგენი შედეგები მოჰყვება შემდგომისათვის.

მეორე, მხარეების მიერ ახალ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის შემუშავებამ (თუ ამას ბოლო არ მოეღო სახელშეკრულებო საფუძველზე) შეიძლება ნიადაგი გამოაცალოს შეზღუდვების, შემცირებისა და კონტროლის შესახებ იმ შეთანხმებებს, რომლებიც ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ამიტომ შეერთებული შტატების მთავრობას მოვუწოდებთ ხელოვნური დაბრკოლებები არ შეუქმნას მოლაპარაკებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და დავიწყოთ იგი უახლოეს ხანში. **მის განახლებამდე კი წინადადებას ვიძლევით, რომ ორივე მხარემ იკისროს ურთიერთვალდებულება — არ გახსნას გამალებული შეიარაღების ახალი არხი, არ განალაგოს საზღვაო და სახმელეთო ბაზირების დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტები. (ტაში).**

საერთოდ მიგვაჩნია, რომ მსოფლიოში შექმნილი ვითარება მოითხოვს სახელმწიფოთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორივე ბლოკის მაქსიმალურ თავშეკავებას სამხედრო საქმიანობაში. ჩვენ მზად ვიქნებით, მაგალითად, შევთანხმდეთ **სამხედრო-საზღვაო ფლოტების მოქმედების ურთიერთშეზღუდვაზე, კერძოდ შესაძლებლად მიგვაჩნია დავთქვათ, რომ ორივე მხარის რაკეტმზიდი წყალქვეშა ნავები გაყვანილ იქნეს საბრძოლო პატრულირების ახლანდელი ვრცელი რაიონებიდან, რომ მათი ცურვა შემოიფარგლოს ურთიერთშეთანხმებული მიჯნებით. ჩვენ აგრეთვე მზად ვიქნებით განვიხილოთ საკითხი ზღვებისა და ოკეანეების აკვატორიაზე, განსაკუთრებით იმ რაიონებზე ნდობის ღონისძიებათა გავრცელების შესახებ, სადაც გადის ყველაზე გაცხოველებული საზღვაო გზები.** ერთი სიტყვით, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ მსოფლიო ოკეანის რაც შეიძლება დიდი ნაწილი უკვე უახლოეს ხანში გადაიქცეს მშვიდობის ზონად. **(ტაში).**

ასეთია ჩვენი ახალი წინადადებები გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების საკითხებზე. როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა კეთილსინდისიერად ასრულებენ ხალხისგან მიღებულ განაწესს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაამართლონ ჩვენი ქვეყნის მშრომელების, და მთელი კაცობრიობის იმედები, რომ დამყარდება მტკიცე მშვიდობა, რომ უღრუბლო ცა იქნება მშვიდობიანი პლანეტის—დედამიწის თავზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ჩემი გამოსვლის დრო იწურება.

და ბოლოს, კიდევ ორიოდე სიტყვა. მიმდინარე წელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელია.

ეს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს დიდი დღესასწაულია, ხალხთა მეგობრობის დღესასწაულია.

ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა. ამავე დროს ეს კარგი საბაბია იმისათვის, რომ შევაჯამოთ შედეგები, განვსაზღვროთ და დავაზუსტოთ სამერმისო ამოცანები. სახელოვანი იუბილეს შესახვედრად რომ ვემზადებით, ისევ და ისევ ვამოწმებთ ჩვენს მოქმედებას ახალი საზოგადოების მშენებლობის ლენინური პროგრამით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი კომუნისტებსა და უპარტიოებს, ყველა თაობის ადამიანებს, ყველა მშრომელს მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მე-60 წლისთავს შეეგებონ ახალი მიღწევებით სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ პროფკავშირები სულ უფრო დიდ როლს შეასრულებენ ჩვენი დიადი მრავალეროვანი სახელმწიფოს შემდგომ განვითარებაში, კომუნიზმის მშენებლობაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

გისურვებთ ყველას, ძვირფასო მეგობრებო, და თითოეულ თქვენგანს დიდ წარმატებებს შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ბედნიერებასა და სიხარულს ცხოვრებაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ყრილობის დელეგატები ერთხმად გაიძახიან: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", „გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!", „ვაშა!")**

# [ს]აკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის ანგარიში და სსრ კავშირის პროფესიული კავშირების [ა]მოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად

## საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ს. ა. შალაევის მოხსენება

(ს. ა. შალაევის მოხსენება დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. ხშირად გაისმოდა ტაში).

(საკდესი).

# საბჭოთა საზოგადოების გავლენიანი ძალა

(დასასრული)

ს. ა. შალაევმა დამსწრეთ აცნობა, რომ საბჭოთა პროფკავშირების ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 123 ქვეყნიდან ჩამოვიდა 131 დელეგაცია, რომლებიც 160 ეროვნულ პროფცენტრსა და 8 საერთაშორისო ორგანიზაციას წარმომადგენლობენ.

ორატორი მიესალმა მსოფლიო მუშათა კლასის უდიდესი და ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანიზაციის — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაციას, სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლებს, ...

... თიერი დუმილით პატივი სცეს საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის იმ თვალსაჩინო მოღვაწეების ხსოვნას, რომლებიც ბოლო წლებში გარდაიცვალნენ, დაიღუპნენ მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლაში.

დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი და მუშაობის წესი. მისი დელეგატების განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის ანგარიში და სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.
2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს არჩევნები.
4. ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს. ყრილობის დელეგატები და სტუმრები ლეონიდ ილიას ძეს ხვდებიან ფეხზე ამდგარნი, მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით.

კრემლის ყრილობათა სასახლეში შეკრებილებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა „მშრომელი ადამიანებისათვის ზრუნვა, წარმოებისათვის ზრუნვა — პროფკავშირთა ყურადღების ცენტრში". სიტყვის წარმო...

... ტის გახსნილად. მოხსენება „საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის ანგარიში და სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად" გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა.

# ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

**საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ**

დედამიწის ირგვლივ

*16 მარტი*

● მექსიკა

## ყრილობა დამთავრდა

**მეხიკო.** აქ მუშაობა დაამთავრა მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის პირველმა ყრილობამ. 500-ზე მეტმა დელეგატმა მიიღო პარტიის ძირითადი დოკუმენტები — პრინციპთა დეკლარაცია, პროგრამა და წესდება.

ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო პარტიის ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებს, მის იდეოლოგიურ პლატფორმას.

ყრილობაზე აირჩიეს მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 70 წევრის შემადგენლობით.

ყრილობამ მიიღო რეზოლუციები, რომლებშიც მხარს უჭერს კუბას, ნიკარაგუას, გრენადას, აგრეთვე თავისუფლების, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სალვადორისა და გვატემალის ხალხებს.

ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე აირჩევენ მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიას და პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

*პრესა ადასტურებს*

## ამზადებენ აგრესიას

**ლონდონი.** ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამზადებს და აფინანსებს განის წინააღმდეგ დაქირავებულთა მეშვეობით შეიარაღებული აგრესიის გეგმას, იუწყება გაზეთი „ნიუს ოფ უორლდი". შეთქმულების ორგანიზატორმა, ინგლისის არმიის ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ ნიკ ჰოლმა, წერს გაზეთი, ამერიკის შეერთებულ შტატებს 90 ათასი დოლარი მოსთხოვა განის ეროვნული თავდაცვის დროებითი საბჭოს თავმჯდომარის ჯ. როლინგსის მოსაკლავად, აგრეთვე 180 ათასი დოლარი ოპერაციისათვის, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ კუმასში საკვანძო ობიექტების ხელში ჩაგდებას, სამოქალაქო ომის გაჩაღებას და დედაქალაქ აკრაზე თავდასხმას". იარაღს შეთქმულების განსახორციელებლად, წერს „ნიუს ოფ უორლდი", იღებენ შეერთებული შტატებიდან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფინანსურ დახმარებას რომ იღებენ, დაქირავებულთ საშინაო რეაქციის — შარშან დეკემბერში დამხობილი პროდასავლური რეჟიმის მომხრეთა მხარდამჭერის იმედი აქვთ.

# ლ ა ი ფ ც ი გ ი მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო ბ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

**ლაიფციგი.** „თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობისა და ტექნიკური პროგრესისათვის" — ამ დევიზით მიმდინარეობს აქ ლაიფციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა, რომელშიც თითქმის 70 ქვეყნის 9 ათასი სამრეწველო კონცერნი, ფირმა და საგარეოსავაჭრო გაერთიანება მონაწილეობს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლანდელ პირობებში, როცა ვაშინგტონის ადმინისტრაცია ნატოს ყველაზე აგრესიულ წრეებთან ერთად ცდილობს ბოიკოტის და ძალდატანების მეთოდები გამოიყენოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შექმნილი დაძაბულობის შემდგომი გამწვავების, ორმხრივ ხელსაყრელი სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ჩაშლის მიზნით, უხეშად ერევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

ახლანდელი ბაზრობის ფართო, წარმომადგენლობითი ხასიათი, ბაზრობაში კაპიტალისტური ქვეყნების ათობით წამყვანი სამრეწველო გაერთიანების მონაწილეობა მოწმობს, რომ მშვიდობისა და ურთიერთგაგების ინტერესებისადმი მტრულ იმპერიალისტურ გეგმებს არ უჭერენ მხარს საერთაშორისო ეკონომიკური წრეები.

ბაზრობის დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრშია საბჭოთა ექსპოზიცია, რომლის შინაარსს განსაზღვრავს სახელოვანი იუბილე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლის თავი.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი დიდმწარმოებლური მოწყობილობა, პროგრამული და რიცხვული მართვის ურთულესი ჩარხები, ლაზერული ტექნიკა და სხვა დანადგარები, აგრეთვე სამეცნიერო ხელსაწყოები თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რაოდენ გრანდიოზულ გამარჯვებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

სოციალისტური მოკავშირე რესპუბლიკების წარმატებები ამჯერად ლაიფციგში წარმოდგენილია საქართველოს რესპუბლიკის მაგალითით. მრავალი ექსპონატი მოწმობს, რომ საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოიარა გზა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ყოველმხრივ განვითარებულ საბჭოთა რესპუბლიკამდე, ცხადყოფს მის სწრაფ, დინამიკურ განვითარებას, ინდუსტრიის ყველაზე თანამედროვე და პერსპექტიული დარგების აღმავლობას.

ბაზრობის საზეიმო გახსნის დღეს საბჭოთა პავილიონს პირველნი ესტუმრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები. მან მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ექსპოზიციას, რომელიც ცხადყოფს, რაოდენ დიდი გზა გამოიარეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერებმა, რომლებიც დღეს ხალხთა ძმური ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრები არიან.

დამთვალიერებლები შეიტყობენ, რომ დღეს საქართველოს 1400-ზე მეტი დიდი და საშუალო საწარმო ორ დღეში უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე საქართველო აწარმოებდა მთელი 1920 წლის მანძილზე. ეს არის ჩარხები, გამომთვლელი მოწყობილობა, ზუსტი ხელსაწყოები, ავტომობილები, თვითმფრინავები და გემები, ელმავლები და ტრაქტორები, ნაგლინი, ქვანახშირი, მანგანუმი, ნავთობი, ქიმიკატები, ცემენტი, ლითონკონსტრუქციები, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია. 300-ზე მეტი ნაკეთობა იგზავნება 80 ქვეყანაში. საქართველოს საწარმოთა მარკიანი მოწყობილობა წარმატებით გამოიყენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ლაიფციგის ექსპოზიციის ორგანიზატორია საქართველოს სს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. მას გამოფენილი აქვს თითქმის 20 დარგის ნაკეთობანი, მათ შორის არის ელექტრომავლები, ავტომატური ამომრთველები, შესადუღი ტექნიკა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გამოფენაზე წარმოდგენილია მოთუთიებული მილებითა და სხვადასხვა ფეროშენადნობებით, ფოთის გემთსაშენი — წყალქვეშაფრთიანი ხომალდის „კოლხეთის" მოდელით. ექსპონირებულია აგრეთვე თბილისის ქარხნის მიერ შექმნილი ელმავლების მოდელები.

ექსპოზიცია მნახველის ყურადღებას იპყრობს ორიგინალური გაფორმებით, ეროვნული კოლორიტით, მდიდარი შინაარსით. თითქოსდა, სამხრეთის მზით გასხივოსნებულ ვეებერთელა ფერად სლაიდებს დამთვალიერებლები გადაჰყავთ თვალწარმტაც თბილისში სამრეწველო საწარმოების საამქროებში, მეცნიერთა ლაბორატორიებში, ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში. დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სახალხო ხელმარჯვეთა შემოქმედების ნიმუშები.

კვალიფიციური კონსულტანტები პასუხს სცემენ დამთვალიერებელთა შეკითხვებს გამოფენის ექსპონატების, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების პერსპექტივების, მისი ხელოვნებისა და კულტურის შესახებ.

ქართული სიმღერის სრულუფლებიან წარმომადგენლად გამოდის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა", რომელმაც უკვე მოინადირა ლაიფციგის დამთვალიერების ათასობით მონაწილისა და სტუმრის გული.

გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ლაიფციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობაში საქართველოს მონაწილეობას. გერმანელი და უცხოელი ჟურნალისტები გაეცვნენ ქართველი ხალხის აღმშენებლობითი შრომის შედეგებს, მიღწევებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მოპოვებული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში, საქართველოს რესპუბლიკის როლს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ თანასწორუფლებიან ოჯახში.

● აშშ

## უგუნური კონცეფცია

**ამერიკელი სამხედრო სტრატეგების გეგმა**

**ვაშინგტონი.** ამერიკელმა სამხედრო სტრატეგებმა შეიმუშავეს საბრძოლო მოქმედების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას, რაც სავსებით შეესაბამება პრეზიდენტ რეიგანის შეხედულებებს. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ „შეზღუდული" ბირთვული ომი სავსებით დასაშვებია. ეს გეგმა სათაურით „სახმელეთო და საჰაერო ბრძოლა-86" გამოიცა როგორც არასაიდუმლო დანართი ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ახალი საველე უწყებისა, რომელსაც ახლა ამუშავებენ.

ტაქტიკური ბირთვული კონფრონტაცია, პენტაგონის ჩანაფიქრით, მოხდება, უწინარეს ყოვლისა, ევროპაში, მაგრამ იგი გამორიცხული არ არის ახლო აღმოსავლეთსა და კორეის ნახევარკუნძულზეც. გამოცემის ავტორები რეკომენდაციას აძლევენ ამერიკელ მეთაურებს გამოიყენონ ტაქტიკური ბირთვული იარაღი შეიარაღებული კონფლიქტის უკვე ადრეულ სტადიაში. ბირთვული დარტყმა, ნათქვამია დარიგებაში, საჭიროა მივაყენოთ მოწინააღმდეგეს ზურგს, სადაც „მიზნები მოცემულ ეტაპზე ბევრად უფრო ხელმისაწვდომია ბირთვული იარაღის გამანადგურებელი მოქმედებისათვის, ვიდრე ჯარების განაწილების წინა ხაზზე". ევროპის საომარი მოქმედების ასპარეზზე, აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტო, „ზურგად" მიიჩნევენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიას.

ამ სისხლისგამყინავი „სცენარის" ავტორთა მტკიცებით, ბირთვული იარაღის ტაქტიკური გამოყენება შეიძლება შემოიფარგლოს ბრძოლის ველით და იგი აუცილებლად როდი გამოიწვევს საყოველთაო ბირთვულ ომს.

შეერთებულ შტატებს, როგორც ჩანს, იმედი აქვს, რომ ბირთვულ ომს შეზღუდავს ევროპის ტერიტორიით, და ეს თავისთავად მისაღებ ვარიანტად მიაჩნია, ამასთან უგულებელყოფს იმ აშკარა ფაქტს, რომ სადაც უნდა დაიწყოს ბირთვული ომი, ევროპაში თუ სხვაგან, იგი უთუოდ და უცილობლად შეიძენს მსოფლიო ხასიათს.

ტელეტაიპის

## მოკლედ

*ლენტიდან*

**მწვავე უთანხმოებანი**

**ბრიუსელი.** მწვავე უთანხმოებათა ვითარებაში გაიმართა „საერთო ბაზრის" მინისტრთა საბჭოს სესია ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთა დონეზე.

უთანხმოებანი უმთავრესად გამოვლინდა ეგრეთ წოდებული ევროპის სავალუტო სისტემის სრულყოფის საკითხის განხილვისას. როგორც ცნობილია, სისტემას დიდი ზიანი მიაყენა ბელგიური ფრანკის 8,5 პროცენტით დევალვაციამ, რასაც მოჰყვა ლუქსემბურგის ფრანკის დევალვაცია და დანიური კრონის გაცვლითი კურსის სამი პროცენტით შემცირება.

**მდგომარეობა სურინამში**

**ჯორჯთაუნი.** როგორც სურინამიდან იუწყებიან, სამხედრო ხელისუფლება მთლიანად აკონტროლებს ქვეყნის ვითარებას. დედაქალაქ პარამარიბოში შემოღებულია საგანგებო წესები, მოქმედებს კომენდანტის საათი.

როგორც პრესკონფერენციაზე სამხედრო პოლიციის სარდალმა რ. აბრაჰამმა განაცხადა, სამხედრო გადატრიალების ცდაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულია 10 სამოქალაქო პირი და სამხედროების ჯგუფი.

**გამოცხადდა საგანგებო წესები**

**ლა-პასი.** საგანგებო წესები გამოცხადდა ბოლივიის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც კოკისპირული წვიმების გამო დაიტბორა ათასობით ჰექტარი სავარგული. ლა-პასის, სანტა-კრუსის, კოჩაბამბის და ბენის დეპარტამენტებში, ცენტრს მოწყვეტილია 25 ათასი გლეხი. არის მსხვერპლი, რომლის დადგენა შეუძლებელია.

**ქოლერის მსხვერპლნი**

**კოლომბო.** ექვსი კაცი დაიღუპა ქოლერით შრი ლანკაში. დაავადებამ მოიცვა ქვეყნის გვალვიანი რაიონები, რომელთა მოსახლეობა სასმელი წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდის.

● გვატემალა

## ბრძოლაში ჩაებნენ ინდიელები

**გვატემალელ** აჯანყებულთა შეიარაღებული მოქმედება ძლიერდება. ქვეყანაში ეროვნული პატრიოტული ერთიანობის ფრონტის შექმნამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს გენერალ რომეო ლუკას გარსიას საძულველი დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პატრიოტთა რაზმები კონტროლს უწევენ ათობით დასახლებულ პუნქტს.

ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ ინდიელები, რომლებიც გვატემალის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (სურათზე).



## რეაქციის დანაშაულობანი

**სან-ხოსე.** გვატემალის პატრიოტული ერთობის კომიტეტმა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიულ ძალებს აერთიანებს, გაავრცელა განცხადება, რომელშიც ამხილებს დიქტატორული რეჟიმის დამსჯელთა მიერ ჩადენილ დანაშაულს — 200-მდე მაია-კიჩეს ტომის ინდიელის დახოცვას ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში. ეს შემზარავი დანაშაული, ნათქვამია აქ მიღებულ დოკუმენტში, ჩადენილია 6 მარტს, იმ ეგრეთ წოდებული „საყოველთაო არჩევნების" ფარსის წინ, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციის მითითებით გაითამაშეს. გამხეცებულ ჯარისკაცთა ჯგუფი შეესია სოფელ პოტრერო-ვიეხოს და დახვრიტა მისი მცხოვრებნი, მათ შორის, ქალები, ბავშვები და მოხუცები. ამის შემდეგ კი გვამებს თავები დააჭრეს.

განცხადებაში მოყვანილია სხვა „დამაშინებელი ოპერაციების" მაგალითები, რომელთა შედეგად პირისაგან მიწისა აღიგავა მთელი დაბები, კერძოდ, სან-კრისტობალ-ვერაპასი, ისპანტანი, ჩუკოლი. ყოველივე ეს ცხადად მოწმობს, რომ გვატემალაში არარად აგდებდნენ ადამიანის უმთავრეს უფლებას — სიცოცხლის უფლებას.

კომიტეტმა საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა მიმართონ ყველაზე მტკიცე ღონისძიებებს ლუკას გარსიას რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების სათავეში მხოლოდ ოფიციალური ვაშინგტონის ყოველნაირი მხარდაჭერის წყალობით სძლებს.

■ დამსახურებული ჯილდო — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

**თბილისის შრომის** წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებლებმა, თანამშრომლებმა და სტუდენტებმა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობით განვლეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი და საპატიო ჯილდო—სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს.

ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის" კორესპონდენტი ბ. დურგლიშვილი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს ვაჟა ოკუჯავას და სთხოვა გაზეთის მკითხველებისთვის რამდენიმე სიტყვით გაეცნო უნივერსიტეტის კოლექტივის მიერ გაწეული მუშაობა, რომელიც გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

— ეს გამარჯვება, უწინარეს ყოვლისა, უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის დიდი სიხარულია. კოლექტივში ვგულისხმობ როგორც თანამშრომლებს, ასევე ჩვენს სტუდენტობას. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მუშაობის ასეთი მაღალი შეფასება იმ გეზის, იმ კურსის მოწონებაა, ჩვენს უნივერსიტეტს ბოლო დროს რომ აქვს აღებული როგორც იდეურ-აღმზრდელობითი, ისე სამეცნიერო და სასწავლო მუშაობაში.

ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ უნივერსიტეტის მიღწევათა შეფასება გარკვეულწილად იმ მაღალი ავტორიტეტით არის განპირობებული, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა ქვეყანაში, მთლიანად იმ კურსით, იდეურ-პოლიტიკურ, სამეურნეო და შემოქმედებით მუშაობაში რომ ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით.

გვახარებს დღევანდელი გამარჯვება, რომელსაც მივაღწიეთ იმ დიდი მხარდაჭერის წყალობით, მუდამ რომ ვგრძნობთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და ფართო საზოგადოებრიობის მხრიდან.

უნივერსიტეტის კოლექტივს დიდად პასუხსაგები ამოცანები აქვს გადასაწყვეტი: ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების, საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარების დარგში, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

**„კომუნისტის" ინტერვიუ**

● ●

## აღიარება, რწმენა, მოვალეობა!

რექტორატი, ფაკულტეტები, შესაბამისი ქვედანაყოფები თავიანთ მუშაობას წარმართავენ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმით, რომელიც სტუდენტთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ყველა ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს. იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმო აღზრდის მთელი სისტემისადმი კომპლექსური მიდგომის მეთოდის გამოყენებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას, მათს აღზრდას პატრიოტულ-ინტერნაციონალური სულისკვეთებით, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებას, სიტყვისა და საქმის ერთიანობის ლენინური პრინციპის განხორციელებას.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ამაღლდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონე, ფართოდ დაინერგა ტექნიკური საშუალებანი და თვალსაჩინოება საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების პროცესში.

დეკანატებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ერთობლივმა მოქმედებამ ხელი შეუწყო სტუდენტთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლებას. ამჟამად უნივერსიტეტში დღის სწავლების სტუდენტთა მეხუთედი სწავლის ფრიადოსანია. განსაკუთრებით ვზრუნავდით იმისათვის, რომ მისაღები გამოცდების დროს ღირსეული შევსება მიგვეღო. დიდი ყურადღება დაეთმო სტუდენტთა საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის მაღალ დონეზე წარმართავს. მჭიდრო კავშირი დავამყარეთ იმ უწყება-სამინისტროებთან, სადაც განაწილებით იგზავნებიან სპეციალისტები.

ძირეული ცვლილება განიცადა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითმა სამსახურმა. მარტო წელს მიღებულია 22 საავტორო მოწმობა, ხოლო შარშანდელი მონაცემებით დაცულია 15 სადოქტორო — და 125 საკანდიდატო დისერტაცია. სამეცნიერო-კვლევითი თემების სახალხო მეურნეობაში დანერგვით 1,3 მილიონი მანეთი დაიზოგა.

წესამე შრომითს სემესტრში ჩვენი სასწავლებლის 2.500 ჭაბუკი და ქალიშვილი მუშაობდა სმოლენსკისა და ვოლოგდის ოლქებში, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. მარტო სმოლენსკის ოლქში მათ 2 მილიონი მანეთის ნაცვლად 4,5 მილიონი მანეთის სამუშაო შეასრულეს.

ერთ საუბარში ძნელია მთელი იმ საქმიანობის ჩამოთვლა, რომელიც უნივერსიტეტში მიმდინარეობს.

ჩვენი მუშაობის თავიდათავი, ძირითადი მიზანია სამშობლოსათვის, ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რითაც ჩვენ ერთგვარად ვქმნით ჩვენი ქვეყნის მომავალს.

## რ ო კ ი ს მ ო მ ა ვ ა ლ ი

**„საქსოფლმშენსახპროექტი"** საქართველოს სსრ „სახმშენის" დავალებით ჯავის რაიონის სოფელ ზემო როკის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტზე მუშაობს.

პროექტს ამუშავებს № 1 არქიტექტურული სახელოსნოს ავტორთა ჯგუფი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს მაღალი მთის სოფლების (შატილი, გუდანი, ჰერეში, სამთაწყარო) დაგეგმარებაში.

სოფლის მიკროკლიმატურმა პირობებმა (იგი სუბალპურ ზონაში მდებარეობს) განაპირობა სპეციფიკური არქიტექტურის შექმნა.

პროექტში თითოეული მოსახლისათვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური სახლი საკარმიდამო ნაკვეთით (ფართობი — 1200 კვ. მეტრი). ნაკვეთში საცხოვრებელი სახლის გარდა აშენდება დამხმარე ნაგებობანი პირუტყვისათვის. სოფელში იქნება კლუბი, სკოლა, საბავშვო ბაღი, მაღაზია, სასადილო, ადმინისტრაციული დაწესებულება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

მშენებლობაშია მიღებული ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული არქიტექტურული ფორმების შენარჩუნება. სოფელში არსებული ისტორიული სახლები და კოშკები გამოყენებულ იქნება მოქმედ მუზეუმებად. თითოეულ მათგანში მოთავსდება ეროვნული სამზარეულო, რომელიც მოემსახურება აქ ჩამოსულ ტურისტებს.

როგორც პროექტის მთავარმა არქიტექტორმა გაიოზ გიგოლაშვილმა აღნიშნა, მაისის ბოლოსათვის გადასცემენ პირველი რიგის მშენებლობის ობიექტების ნახაზებს.

**მ. მახარაძე.**

## მეგობრობის მარშრუტებით

**გორის** მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროს 10 წელი შეუსრულდა. თუ მან თავისი არსებობის პირველ წელს ორმოცდაათი ათასი ექსკურსანტი მიიღო, შარშან ასი ათასზე მეტს უმასპინძლა. იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ სამი წელია ჯილდოვდება საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დიპლომითა და სიგელებით.

გორის და მისი შემოგარენის დასათვალიერებლად შარშან ჩვენი ქვეყნის ორმოცი ქალაქიდან იყვნენ სტუმრები. წელს დამთვალიერებელთა რიცხვი 130 ათასს გადააჭარბებს. ამაღლდება მათი მომსახურების დონე, ექსკურსიების მოწყობის ხარისხი, რაც ისტორიულ ძეგლთა და ადგილთა შემდგომ კეთილმოწყობასაც გულისხმობს.

თავის მხრივ, მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროს დახმარებით, გორელები და მისი რაიონის მკვიდრნი მოაწყობენ ავიაექსკურსიებს მოსკოვში, ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ვილნიუსში, ტაშკენტში, ტალინში, რიგასა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საქინფორმი).

**დღეს ბაკურიანში**



**საქართველოს ბარში თუმც უკვე იმძლავრა გაზაფხულმა და ალაგ-ალაგ ნუშებიც გადაპენტა, მთაში კვლავაც სძინავს ზამთარს. ვინც ვერ მოასწრო ნამდვილი ზამთრის ხილვა, არც ახლაა დაგვიანებული, ჩვენი კოპწია ბაკურიანი კვლავაც ელის სტუმრებს. ეს სურათი ფოტოკორესპონდენტმა ზ. დათუაშვილმა სწორედ ბაკურიანში გადაიღო.**

## ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი პ რ ე ს ი ს ფ უ რ ც ლ ე ბ ზ ე

**რედაქცია** ხშირად ღებულობს გულთბილ სტრიქონებს იმ თანამოქალაქეთა შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შრომობენ. ახლახან კემეროვოს ოლქის ქ. ტაშტაგოლის საქალაქო გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი, რომელიც ეძღვნება ჭიათურელ მშენებელთა, კერძოდ, ჯუმბერ ცარციძის ქართველ მშენებელთა ბრიგადის საქმიანობას ერთ-ერთ საკავშირო დამკვრელურ მშენებლობაზე — ეს არის შერეგეშის ასამოქმედებელი კომპლექსი. ბრიგადა ჩაბმულია სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. („ჭიათურის მაღაროელი").

● ●

**ბოლო** დიდთოვლობისას ტყიდან ბარად ჩამოვიდნენ ირემი. შველი — ადამიანებს მოაშურეს საშველად. და აი, „უშველა" ყანჩაეთელმა მძღოლმა ტატუნაშვილმა — ჯეროვნად ვერ დაამუხრუჭა სატვირთო ავტომანქანა და... დააჯახა სამანქანო გზაზე გამოსულ ირემს... გულგრილი მძღოლი 1.000 მანეთით დააჯარიმეს, ირმის ხორცი კი ლენინგორის რაიკოოპერატივის საკომისიო მაღაზიაში გაიყიდა. მაგრამ აქ ვერ დავსვამთ წერტილს — ეს აღარ უნდა გამეორდეს ბარად ჩამოსულ ცხოველებს დახმარება უნდა გავუწიოთ („ლენინელი", ლენინგორი).

● ●

**ჯანდარის** მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სანაშენო საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში ერთდროულად 1.840 ხბოს უვლიან. კომპლექსის ყველა პროცესი მექანიზებულია („სამგორი", გარდაბანი).

● ●

**ბროწეულის** 100-მდე ჯიში არსებობს. მისი ნაყოფი შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო ნივთიერებებს: C-ვიტამინს, შაქარს, მარილებს. წვენი კარგია სიცხიანის ტემპერატურის დასაწევად, წყურვილის მოსაკლავად. ბროწეული ხელს უწყობს საყლაპავი მილის, კუჭ-ნაწლავის, გულის რიტმულ მუშაობას და სისხლის მიმოქცევას. კარგი იქნება თუ ამ მცენარეს გავამრავლებთ როგორც საკარმიდამო ასევე საკოლმეურნეო ნაკვეთებზე („დროშა", წყალტუბო).

**სპორტი**

## პ. გურსკი: „ჩვენ მაღალი კლასის კლუბთან წავაგეთ"

**ვარშავის** „ლეგიის" ერთ-ერთი ყველაზე სახიმო თავდამსხმელი მიროსლავ ოკონსკი თასების მფლობელთა თასის გათამაშების დღევანდელ საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში არ ითამაშებს. ვარშავაში პირველი შეხვედრის დროს იგი ტრავმის გამო არ გამოდიოდა, ხოლო თბილისში „ლეგიის" ჩამოსვლის წინ დატოვა კლუბი და თავის მშობლიურ გუნდში, პოზნანის „ლეხში" დაბრუნდა. ამის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს „ლეგიის" კლუბის ხელმძღვანელებმა.

პოლონელი ფეხბურთელები ჩვენს ქალაქში 15 მარტის საღამოს ჩამოვიდნენ და სასტუმროში დაბინავების შემდეგ უმალ სავარჯიშოდ გაეშურნენ. თუ არ ჩავთვლით ოკონსკის, „დინამოს" მწვანე მოედანზე შეკრებილი რამდენიმე ასეული თბილისელი გულშემატკივრის წინაშე „ლეგია" საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდა — ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებული „ლეგიისა" და პოლონეთის ნაკრების ნახევარმცველი ბარანი. წვრთნა იყო ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური. მას უშუალოდ გუნდის უფროსი მწვრთნელი, სახელგანთქმული კაზიმეჟ გურსკი წარმართავდა, რომლის ხელმძღვანელობით პოლონეთის ნაკრებმა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მიუნხენში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

— ვარშავაში გამართული პირველი მატჩის შედეგი „ლეგიისათვის" შეიძლება უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო, — თქვა გურსკიმ. — მაგრამ დღეს, როცა ვნებათა ღელვა ჩაცხრა, თამამად შემიძლია განვაცხადო: —ჩვენ წავაგეთ მაღალი კლასის კლუბთან.

კითხვაზე, თუ რომელი ფეხბურთის მიმდევარია თბილისის „დინამო" — ევროპულისა თუ ლათინურამერიკულის, გურსკიმ ღიმილით თქვა: — „დინამოს" ფეხბურთელები ტექნიკურად, სწრაფად, გონივრულად თამაშობენ, მათი ფიზიკური კონდიციები საკმაოდ მაღალია. სწორედ ეს გახლავთ ნამდვილი ფეხბურთი, ხოლო როგორია იგი — ევროპული თუ ლათინურამერიკული — არცთუ ისე მნიშვნელოვანია.

შეეხო რა ესპანეთის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს, კ. გურსკიმ ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის გუნდების გვერდით ფავორიტთა შორის უყოყმანოდ დაასახელა საბჭოთა ნაკრებიც.

— საბჭოთა ნაკრები ჩინებულ თამაშს გვიჩვენებს, ჰყავს ექსტრაკლასის ფეხბურთელები შენგელია, ბლოხინი, ბურიაკი, გაცაევი, დარასელია...

— როგორ აფასებთ „ლეგიის" შანსებს საპასუხო მატჩში?

— შესანიშნავი სტადიონი, ტემპერამენტიანი გულშემატკივრები — სხვა რაღაა საჭირო გამარჯვებისათვის? რა თქმა უნდა, „დინამო" ფავორიტია... მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია, და ჩვენ აქ დამარცხებისათვის არ ჩამოვსულვართ...

დინამოელები ასპარეზობისათვის თავისი საუკეთესო შემადგენლობით ემზადებიან. ამის მიუხედავად, გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის ს. კუტივაძის აზრით მატჩი ძნელი იქნება.

— „ლეგია" სრულიადაც არ არის იოლი მეტოქე. საერთოდ გამარჯვებისათვის დიდი გარჯა გვმართებს.

მატჩს მოემსახურება ინგლისელ მსაჯთა ბრიგადა — ჯორჯ კურტინი, ლენარტ ბარტელსი და ტომ ფიტცპატრიკი.

(საქინფორმი).

## სატურნირო ორბიტა

**სპარტაკიადა.** გუშინ კრასნოიარსკში დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა V ზამთრის სპარტაკიადა, დღეს კი მისი საზეიმო დახურვა მოეწყობა. შეჯიბრების მორიგ კალენდარულ დღეს პირველი ადგილები მოიპოვეს: 50 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში — ს. ჟურავლიოვმა, ბელორუსიამ, ვ. ფომიჩევამ და ლ. ნოვიკოვმა (რუსეთის ფედერაციის I გუნდი), 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში — ვ. ვინმა (უკრაინა), სამთოსათხილამურო სპორტში (სწრაფდაშვება) — ვ. მაკეევმა (კემეროვის ოლქი), ფიგურულ ციგურაობაში — ა. კონდრაშოვამ (ქალთა ერთეულებს შორის, მოსკოვი) და ნ. კარამიშევამ და რ. სინიცინმა (სპორტულ წყვილებს შორის, უკრაინა და სვერდლოვსკის ოლქი).

**ცურვა.** მოსკოვში გამართულ სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების შეხვედრაში თბილისელმა ი. გერასიმოვამ ესტაფეტაში (4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით) წარმატებით (II ადგილი) ასპარეზობის გარდა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც კარგი შედეგი მოიპოვა. იგი ამ დისტანციაზე საბჭოთა სპორტსმენთა შორის საუკეთესო იყო და გერმანელთა შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი**

**კომუნისტი**

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.

380096, თბილისი-96.

**რ ე დ ა ქ ც ი ა:**

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-95-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

**საკორესპონდენტო პუნქტები:**

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-38-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-28-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

უე 09124 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

**ტელევიზია**

**17 მარტი**

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია" (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში" დოკუმენტური ფილმი „ბირიუკოვების ოჯახი", 11.05 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავისათვის" ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობანი, 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიქრი გზაში", 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი, 13.30 — მხატვრული ფილმი „სიყვარულს ნუ განუდგები", 14.50 — კინოპროგრამა, 15.30 — ფილმ-სპექტაკლი „რა ვაკეთოთ?". მეორე და მესამე ნაწილი, 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „უსახელო უფლისციხელი", 18.00 — განცხადებები, 18.05 — ახალგაზრდობისათვის „ეკრანი და მოზარდები", 18.45 — ფეხბურთი ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასზე. თბილისის „დინამო" — ვარშავის „ლეგია". 1/4 ფინალი რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე" 21.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „აჭარა დღეს", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.45 — სპორტული პროგრამა (მ.), შესვენების დროს — ახალი ამბები.